სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080133618380816

 # 2145

22 / ივლისი / **2016** წ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 20 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის SMP160002024 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის და სასწავლო ტურით მიწვეული ხუთი მოსწავლის ქ. შატონეფში მგზავრობის ბილეთების (CPV-63500000 - ტურისტული სააგენტოების, ტუროპერატორებისა და ტურისტების დახმარების მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის პირველიდან 15 აგვისტომდე, საფრანგეთში, შატონეფის კომიტეტის და ასოციაცია „ქართული ცენტრის" თაოსნობით, მიწვეულნი არიან სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და ხუთი მოსწავლე, რომლებიც ქ. შატონეფში დაესწრებიან სასწავლო პროგრამას. აღნიშნული ღონისძიების მონაწილეებისათვის აუცილებელია სამგზავრო ბილეთების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება მათი გამგზავრება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე, ქალაქ შატონეფიდან მოწვევა მოვიდა 2016 წლის 20 ივნისს, ხოლო საფრანგეთის საელჩოდან თანხმობის შესახებ, სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი გახდა 2016 წლის 15 ივლისს (ქართული ცენტრის ასოციაციის, 2016 წლის 13 ივლისის წერილი). ვინაიდან, საფრანგეთის საელჩოს ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა აღნიშნული ტურის განხორციელება, შეუძლებელი იყო შესყიდვის წინასწარ დაგეგმვა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის პირველიდან 15 აგვისტომდე,

საფრანგეთში, შატონეფის კომიტეტის და ასოციაცია „ქართული ცენტრის“ თაოსნობით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და ხუთი მოსწავლე მიწვეულნი არიან, ქ. შატონეფში, სადაც დაესწრებიან სასწავლო პროგრამას. იქიდან გამომდინარე, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის საფრანგეთის საელჩოს თანხმობის შესახებ ცნობილი გახდა 2016 წლის 15 ივლისს (ქართული ცენტრის ასოციაციის, 2016 წლის 13 ივლისის წერილი), შესყიდვის წინასწარ დაგეგმვა ვერ მოხდა. ვინაიდან, აღნიშნული ღონისძიების მონაწილეებისათვის აუცილებელია სამგზავრო ბილეთების შეზღუდულ ვადებში შესყიდვა (წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება მათი გამგზავრება), სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს მომართვაში აღწერილი შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის SMP160002024 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე